სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
11.10.2017 № 193
თბილისი

სტუ-ში 2017 წლის საშემოდგომო მიღებაზე
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების
შემდგომ საფეხურზე ჩარიცხვის მიზნით
ტესტირების ჩატარების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, "პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანების და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. განისაზღვროს 2017 წლის საშემოდგომო მიღებაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომ საფეხურებზე ჩარიცხვის მიზნით სტუ-ის მიერ ორგანიზებული ტესტირების (შემდგომში ტესტირება) პროცედურა №1 დანართის შესაბამისად.
2. ტესტირება ჩატარდეს კომპიუტერის საშუალებით, ტესტების შინაარსი განისაზღვროს წინა საფეხურზე გავლილი მასალის მიხედვით.
3. დამტკიცდეს ტესტირების კომისიის შემადგენლობა №2 დანართის შესაბამისად.
4. განისაზღვროს ტესტირების ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის წესი №3 დანართის შესაბამისად.
5. დამტკიცდეს ტესტირების საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობა №4 დანართის შესაბამისად.
6. აპლიკანტთა რეგისტრაცია, ტესტირება და მასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები ჩატარდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის I კორპუსში, კოსტავას ქ. №68, პირველ სართულზე, სტუ-ის საგამოცდო ცენტრში.
7. ტესტირებაზე დაიშვება პირი, რომელსაც გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია და წარმოადგენს სტუ-ის სარეგისტრაციო ცენტრის ან რესურსცენტრის მიერ გაცემულ რეგისტრაციის დამადასტურებელ დოკუმენტს - სსიპ - განათლების

მართვის საინფორმაციო სისტემის სპეციალური პროგრამიდან ამონაბეჭდს და პირადობის მოწმობას.

8. ტესტირება ჩატარდეს მიმდინარე წლის 30 ოქტომბერს, ტესტირება დაიწყოს 09:30 საათზე. აპლიკანტი უნდა გამოცხადდეს 30 წუთით ადრე რეგისტრაციის გასავლელად. ტესტირების ხანგრძლივობა განისაზღვროს 90 წუთით. ტესტირების შედეგები აპლიკანტებისათვის ცნობილი გახდება ტესტირების დამთავრებისთანავე.
9. ტესტირების შედეგების გაცნობის შემდეგ აპლიკანტს შეუძლია საპრეტენზიო განცხადება წარადგინოს ტესტირების ჩატარების ადგილზე იმავე დღეს, 16:00 საათამდე.
10. პრეტენზიების განხილვა დაიწყოს 30 ოქტომბერს 16:00 საათიდან. მიღებული გადაწყვეტილება ეცნობოს აპლიკანტს განხილვის დამთავრებისთანავე.
11. ტესტირების საფუძველზე სტუ-ში ჩარიცხული პირი ვალდებულია ფაკულტეტზე გაიაროს აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია, რისთვისაც უნდა წარმოადგინოს დოკუმენტაცია №5 დანართის შესაბამისად.
12. პირს, რომელიც არ შეასრულებს ამ ბრძანების მე-11 პუნქტის მოთხოვნებს, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით წინასწარი გაფრთხილების გარეშე შეუჩერდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
13. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსს გ. აბრამიშვილს.
14. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

ვიცე-რექტორი
ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი *ი. ლომიძე*

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის
უფროსი *ბ. მაისურაძე*

დანართი №1

2017 წლის საგაზაფხულო მიღებაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომ საფეხურებზე ჩარიცხვის მიზნით ჩასატარებელი ტესტირების პროცედურა

მუხლი 1. აპლიკანტის უფლებები და ვალდებულებები ტესტირებისას

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ტესტირების (შემდგომში ტესტირება) ჩაბარების მიზნით, აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს სტუ-ში რეგისტრაციასა და ტესტირებაზე.
2. დაგვიანების შემთხვევაში აპლიკანტი არ დაიშვება რეგისტრაციასა და ტესტირებაზე.
3. ტესტირების დროს აპლიკანტს უფლება აქვს თან იქონიოს:
   ა) წყალი;
   ბ) პირადი ჰიგიენის საგნები;
   გ) საჭიროების შემთხვევაში სხვა ნივთები, სტუ-ის ტესტირების კომისიის წინასწარი თანხმობით.
4. ტესტირების დროს აპლიკანტს ეკრძალება:
   ა) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული აპარატურის ქონა;
   ბ) დამხმარე მასალის – სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლების და სხვათა ქონა და გამოყენება, გარდა სტუ-ის ტესტირების კომისიის მიერ შეთავაზებული ნივთებისა;
   გ) გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება რაიმე ფორმით, სხვა აპლიკანტისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;
   დ) სამუშაო ადგილის უნებართვოდ დატოვება. სამუშაო ადგილის დატოვება შესაძლებელია მხოლოდ ტესტირების კომისიის ნებართვით, თანმხლებ პირთან ერთად;
   ე) ტესტური დავალების შესრულების დაწყება შესაბამისი მითითების გარეშე;
   ვ) საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა.

მუხლი 2. ტესტირების დროს წესის დარღვევა

1. ტესტირების დროს აპლიკანტი მიიღებს გაფრთხილებას ამ წესის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში.

2. ამ წესის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის განმეორების შემთხვევაში აპლიკანტი იხსნება ტესტირებიდან.

მუხლი 3. ტესტირების პროცესზე დასწრება

1. ტესტირებას უნდა ესწრებოდეს – კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები და ტექნიკური პერსონალი (ასლების გადასაღებად). ტესტირებას შეიძლება ესწრებოდნენ განათლების სამინისტროს უფლებამოსილი დამკვირვებლები.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების ტესტირებაზე ყოფნამ ხელი არ უნდა შეუშალოს ტესტირების მიმდინარეობას. აღნიშნულ პირებს ეკრძალებათ ტესტირების შინაარსთან დაკავშირებით აპლიკანტის დახმარება ან მათი მუშაობისთვის ხელის შეშლა.

მუხლი 4. ტესტირების ჩატარების ფორმა

1. ტესტირება ტარდება კომპიუტერის საშუალებით სტუ-ის საგამოცდო ცენტრში.
2. აპლიკანტმა უნდა შეასრულოს მისთვის განკუთვნილი ტესტური დავალება.
3. ტესტირების ხანგრძლივობაა 90 წუთი.
4. აპლიკანტს პროფესიული ტესტირება ჩაეთვლება ჩაბარებულად, თუ ის დააგროვებს 25 ქულაზე მეტს.

დანართი № 2

ტესტირების კომისიის შემადგენლობა

1. თამარ ცერცვაძე – სწავლების დეპარტამენტის საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე);
2. დავით კაპანაძე - სტუ-ის საგამოცდო ცენტრის უფროსი (კომისიის წევრი);
3. იური ქადარია - სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე (კომისიის წევრი);
4. მეგი პატურაშვილი - სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი (კომისიის წევრი);
5. ზიზი სვანიძე - ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი (კომისიის წევრი).

ტესტირების ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის წესი

მუხლი 1. საპრეტენზიო კომისია

1. ტესტირების ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიები განიხილება ამ ბრძანებით შექმნილი საპრეტენზიო კომისიის მიერ (დანართი №4).

მუხლი 2. საპრეტენზიო კომისიის რეგლამენტი

1. საპრეტენზიო კომისიის სხდომას იწვევს და უძღვება საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე.

3. საპრეტენზიო კომისია პრეტენზიებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში.

4. საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილებები მიიღება კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით.

5. საპრეტენზიო კომისიის სხდომაზე ფორმდება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებენ საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები.

მუხლი 3. ტესტირების ფარგლებში წარმოშობილი დარღვევების გასაჩივრება

1. ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე აპლიკანტი უფლებამოსილია შეიტანოს განაცხადი საპრეტენზიო კომისიაში, ტესტირების შედეგების გამოცხადების შემდეგ, ბრძანებით დადგენილ ვადებში.

2. პრეტენზიის წარდგენისას აპლიკანტმა თან უნდა იქონიოს დაბადების/პირადობის მოწმობა/პასპორტი.

3. დარღვევის ფაქტის თაობაზე წარდგენილი პრეტენზია შეიძლება ეხებოდეს:

ა) პრეტენზიის წარმდგენი აპლიკანტის უფლებების დარღვევას სხვა აპლიკანტების მიერ;

ბ) სხვა აპლიკანტის მიმართ ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევას სხვა აპლიკანტების მიერ (აპლიკანტისათვის დახმარების აღმოჩენა და ა.შ.).

გ) სტუ-ს მიერ აპლიკანტის მიმართ ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევას;

დ) ტესტირების პროცედურის სხვა დარღვევებს;

ე) ტესტირებაზე მიღებულ შეფასებას.

4. საპრეტენზიო კომისია პრეტენზიების განხილვას იწყებს განაცხადების შეტანის ვადის ამოწურვისთანავე და მიღებულ გადაწყვეტილებას აცნობს აპლიკანტს ბრძანებით დადგენილ ვადებში.

დანართი № 4

ტესტირების საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობა

1. გიორგი აბრამიშვილი - სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე);
2. მაია მშვილდაძე - ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი (კომისიის წევრი);
3. მანანა თალაკვაძე - სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე (კომისიის წევრი);
4. ნუგზარ მურღულია - სამშენებლო ფაკულტეტი (კომისიის წევრი).

დანართი № 5

სტუ-ში ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. დაბადების მოწმობა/პირადობის მოწმობა/პასპორტი და ასლი;
2. 2 ფოტოსურათი (3x4სმ) ამობეჭდილი და ელექტრონული ვერსია კომპაქტ-დისკზე (CD);
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის წინა საფეხურის პროფესიული დიპლომი;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად (საწყის) საფეხურზე დაშვების წინაპირობით გათვალისწინებული დოკუმენტები - საბაზო ან სრული ზოგადი განათლების ატესტატი (ნოტარიულად დამოწმებული ასლი), თუ პირს პირველადი (საწყისი) საფეხური სტუ-ში არ გაუვლია.